SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

ქ. თბილისში, მეტრო/სადგური „ვარკეთილი“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.19.36.003.109) – ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება



ქ. თბილისში, მეტრო/სადგური „ვარკეთილი“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.19.36.003.109) – ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება

შემსრულებელი:

შპს „STS“

ნ. არჩუაძე

ზ. ბერაძე



სარჩევი

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები 7

საკვლევი არეალი 7

არსებული სიტუაციის მიმოხილვა 8

ქვეითთა მოძრაობა 8

შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა 10

გამოყენებული ლიტერატურა 12

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01212161968**
თარიღი: **04/08/2021**
პინი: **4309**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2021 წლის 3 აგვისტოს N 01212152565-67განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, მეტრო/სადგური "ვარკეთილი"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.36.003.109) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისათვის ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევის წარმოებისთვის საკვლევი არეალის განსაზღვრას, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ განაშენიანებასთან დაკავშირებით სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისათვის წარმოების ფარგლებში განისაზღვრა საკვლევი არეალი, რომელზე დაყრდნობითაც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისათვის განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევა, რომელიც შესრულებულია სააგენტოს მიერ 2019 წლის 4 სექტემბრის N01192472972-67 წერილით განსაზღვრულ საკვლევ არეალსა და კვლევის კომპონენტებზე დაყრდნობით. აღნიშნული უნდა აიტვირთოს არქიტექტურის სამსახურის ვებ.გვერდზე tas.ge, შესაბამის ველში.

გარდა ამისა, წარმოსადგენია სსიპ-ტრანპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული (დაგეგმილი პროექტის შესაბამისი) მოძრაობის ორგანიზების სქემა, რომელიც ასევე უნდა აიტვირთოს არქიტექტურის სამსახურის ვებ.გვერდზე - tas.ge.

დანართის სახით გეგზავნებათ კვლევის კომპონენტები და საკვლევი არეალი.

დანართი 1: 1 (ერთი) ფურცელი
დანართი 2: 3 (სამი) ფურცელი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი


დანართი 1: კვლევის კომპონენტები

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	**საკვლევი ტერიტორიის არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა**		
1.1	საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და საქვეითე მისაწვდომობა	*საპროექტო ტერიტორიიდან ჯავახეთის ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებამდე და მ/ს „ვარკეთილამდე“ მისასვლელი გზა, საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით.*	საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლისას უნდა გამოვლინდეს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე ***მისასვლელი მანძილი,*** საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა ***საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია*** (უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა): ***ტროტუარის არსებობა, ბარიერები ტროტუარზე, უსაფრთხო საქვეითე გადასასვლელების არსებობა***. ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიის საქვეითე მისაწვდომობის ანალიზი. საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	შენობის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი და შესაძლებლობის შემთხვევაში სუფთა ფართობი ფუნქციების მიხედვით.		
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში ვიზიტორთა და თანამშრომელთა რაოდენობა		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.
3	**რეკომენდაციები**		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების ტრანსპორტით უზრუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
4	**გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები**		კვლევის ტექსტურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევისა და ანალიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://tbilisi.gov.ge/page/3218


დანართი 2. საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი
პირობითი აღნიშვნები
ავტობუსის გაჩერება
მეტრო
საპროექტო ტერიტორია
სხვა გზები
ქუჩა
საკვლევი ქუჩა
შენობები
ჰიდროგრაფია
N
1:2000
489000
489200
489400
4615600
4615400
ჯავახეთის I შეს.
ჯავახეთის ქ.
რ. ხომლელის ქ.
მ/ს ვარკეთილი
III ქუჩის I გას.
ზ. მხარგრძელის ქ.
ნაკაშიძე-ბოლქვაძის ქ.
ჯავახეთის ჩიხი
ზ. აბულაძის ქ.
17 მინდისელი გმირის ქ.
ზ. ჩაჩუას II გას.
ზ. ჩაჩუას ქ.
კალოუბნის ქ.

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ შესრულებული სატრანსპორტო კვლევის მიზანია დადგინდეს ქ. თბილისში, მეტრო/სადგური „ვარკეთილი“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.19.36.003.109) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზანშეწონილობა საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითთა მისაწვდომობის კუთხით.

კვლევის დასახული მიზნის მისაღწევად განვიხილავთ საპროექტო ტერიტორიიდან ჯავახეთის ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებებამდე და მ/ს „ვარკეთილამდე“ მისასვლელ საქვეითე ინფრასტრუქტურის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას.

საკვლევი არეალი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ჯავახეთის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი 01.19.36.003.109). მისი ფართობი შეადგენს 8114 კვ.მ.-ს.



ილუსტრაცია # 1

არსებული სიტუაციის მიმოხილვა


ქვეითთა მოძრაობა

ქვეითთა მოძრაობის შესწავლისას განვიხილავთ საპროექტო ტერიტორიიდან ჯავახეთის ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებებამდე და მ/ს „ვარკეთილამდე“ მათ გადაადგილებას.




ილუსტრაცია # 2

საქვეითე ინფრასტრუქტურის კუთხით პრობლემები გვხვდება საკვლევი არეალის უდიდეს ნაწილზე. როგორც საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციის რუკაზეა გამოსახული, (ილუსტრაცია # 3) საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ტროტუარები ვიწროა და ვერ უზრუნველყოფს ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილებას ასევე განლაგებულია დროებითი და მუდმივი ბარიერები, რის გამოც ქვეითებს უწევთ გზის სავალ ნაწილზე გადაადგილება.



ილუსტრაცია # 3

შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა



ილუსტრაცია # 4

პროექტის ზოგადი დახასიათება:

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, მეტრო ვარკეთილის მიმდებარედ. საკადასტრო კოდით 01.19.36.003.109. მიწის ნაკვეთის ფართობია 8114 მ2. ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთთ მდებარეობს მეტროსაგური. მიწის ნაკვეთს სამი მხრიდან, კერძოდ,ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთ და სამხრეთიდან ესაზღვრება საავტომობილო გზა, ხოლო დასავლეთით-შენობა-ნაგებობები. ტერიტორია რელიეფურია და მის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში დონეებს შორის სხვაობა საშუალოდ მერყეობს 3მ-მდე. პროექტის კონცეფცია: პროექტის კონცეფცია სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტისას განპირობებულია მრავალფუნქციური საქმიანი და საზოგადოებრივი გარემოს თავისებურებიდან გამომდინარე, სართულზე ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების გამოყენებით. პროექტის შინაარსობრივი აღწერა: საპროექტო შენობის გაბარიტული ზომებია 117 X 60მ. ტერიტორიაზე სამანქანო კავშირი ხორციელდება, როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ნაწილებიდან. შენობის ნულოვან სართულად მიჩნეულია ჩრდილოეთის მხრიდან მიწისპირა სართული. ჩრდილოეთის მხრიდან შენობა მიწის ზემოთ ოთხ სართულიანია, ხოლო მიწისქვეშ ორი სართული. სამხრეთის მხრიდნან მიწისზემოთ არის ხუთი სართული და მიწისქვეშ ერთი სართული.

სავაჭრო ცენტრში მთავარი შემოსვლა ხორციელდება ნულოვან სართულზე ჩრდილოეთის მხრიდან.ნულოვან და მომდევნო სამ სართულზე განთავსებულია სავაჭრო ობიექტები, ასევე ბოლო სართულზე გვხვდება რესტორნები და ღია ტერასა. კავშირი სართულებს შორის სტუმრებისთვის ხორციელდება ორი პანორამული ლიფტით და ექსკალატორებით. ასევე რესტორნებისთვის გამოყოფილია ორი სატვირთო ლიფტი,რომელიც ახორციელებს რესტორნების კავშირს მომარაგების პლათფორმასთან.მიწისქვეშა სართულებზე განთავსებულია ავტოსადგომები და ყველა საჭირო დამხმარე სივრცე. შენობა სრულად არის აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. შენობიდან ევაკუაცია ხორციელდება სამი კიბის უჯრედით.

დასახელება	რაოდენობა	განზომილება
სამშენებლო ფართი	**27819,3**	მ²
განაშენიანების ფართი	**23786,7**	მ²
შენობის სიმაღლე	**27,9**	მ
ავტოსადგომის ფართი	**7394**	მ²

ცხრილი N 1. ფართების განაწილება

გამოყენებული ლიტერატურა

- თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია, დეკემბერი 2015 ჟან-მანუელ ჟილი - ინდივიდუალური კონსლულტანტი
- www.ttc.com.ge